F-296/2 №12981

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

ხუთშაბათი
1 ოკტომბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით [illegible] 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **[illegible]ტებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გა[illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. [illegible] მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწ[illegible] **განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 188 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 188

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

Библиотека

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.**
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ოლინკა გაბრიელის ასული და იოსებ პავლეს ძე ჭითავა, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 4 ოკტომბერს, მათი დაუვიწყარი შვილის უდროოთ გარდაცვლილის

ვასილის

ორი წლის შესრულების დღეს, სოფელს დიდ-ჯიხაისში, ეზოსხატის წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი.
1—1—3019

გაიხსნა 15 ენკენისთვიდან **საკანდიტრო**

„რეიმსი“ და „გრანდ-კაფე“

ქუთაისში, გიმნაზიისა და ვორონცოვის ქუჩის კუთხეში, ქართული თეატრის გვერდით.
8—5

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა

გასასყიდათ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა **ხამსონ და[illegible]ის ქართული დედანისადმ სამხატვრო ნიმუშებისა.**

მ. დუნდუ[illegible] ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან **გ[illegible] დაკეთდა** საშუალო კერძო პროფესიონალურ **სასწავლებლა[illegible], ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით.** სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშვებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სწავლის ფასი ჩვეულებრივ: საანბანოსა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 25 მანეთი.
მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება.
მისამართი: ბალახვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

1915 წლის 1 **ოკტომბრიდან** გამოვა ქ. ქუთაისში ახალი ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მეგობარი“

გ. მაიაშვილის და კიტა აბაშიძის უახლოეს მონაწილეობით.
გაზეთის ფასი წლიურად 8 მან. ცალკე ნომერი 5 კაპ.
გაზეთს ყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა დაბა ქალაქში და რუსეთის სატახტო ქალაქებშიაც.
რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისში, ივანოვის ქ. ჭილაძის სახლი. „მეგობარი“-ს რედაქ. რედაქტორ გამომცემელი დ. ი. შარაშენიძე.

1355

ქ. ქუთაისში **ექიმი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

სერაფიონ მ. დადუნაშვილი

ლებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.
ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ექიმი **ზ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებათა ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ხელოვნური ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი **გაბრიელ იოსების ძე** **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი**
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძის სახლი. თ

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი
ხუთშაბათიდან, 1, 2 და 3 ოკტომბერს ახალი საუცხოვო და ფართო პროგრამა.
ქრონიკა გომონისა. მიმდინარე ცხოვრებიდან.

მილიონების გვინოზის ქვეშ.

7 და 8 სერია 4 ნაწილით.
პირველი დებიუტი. კომიკური სურათი ნორდისკის სერიიდან **ძორონტიშკინის** მონაწილეობით.

ანონსი: 2 ოკტომბერს, მხოლოდ ერთ საქველმოქმედო სეანსზე ნაჩვენები იქნება სურათები ახალი პროგრამით.

ორშაბათიდან 5 ოკტომბ. ახალი პროგრამა. **სულგრძელი მოხეტიალე.** დრამატ. ეტიუდი 2 ნაწილით. **გასაქირავებელი ოჯახი.** მხიარული კომედია 2 ნაწ.

ქალაქის თეატრი.
„ქართული დრამა“.
სეზონის დასაწყისი.
ორჯერ ზედიზედ

ხუთშაბათს, 1 და პარასკევს, 2 ოკტომბერს წარმოდგენილი იქნება
ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა

სინათლე.

5 სურათად.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ადგილების ფასი საბენეფისოა.
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.
3—3
რეჟისორი **შ. დადიანი.**

ანონსი: მზადდება „კაი გრაკხ“ და ურიის სისხლი.

„სინათლის“ საზოგადოების დედათა ქართულ სასწავლებელში მასალები გამცთები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდი.
თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი“ („როსსია“),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში

მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული ქრისტომატია:
„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,
შედგენილი **ხ. რ. გორგაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

ომის ამბები.

ცნობა საფრანგეთიდან.

როგორც კოპენჰაგენის კორესპონდენტი იუწყება, საფრანგეთის პრესის ცნობით, ვითომ ბულგარეთის არმიის მთავარსარდლობა ბულგარეთის არც ერთმა გენერალმა არ იკისრა, რადგან იციან, რომ ფაქტიურათ ჯარების გამკარგულებელნი ნემცები იქნებიანო. ამიტომ მეფე ფერდინანდი იძულებული გახდა თვითონ იკისროს არმიის მთავარსარდლობაო. (რ. ვ.)

გერმანელთა სიხარული.

კოპენჰაგენის კორესპონდენტი იტყობინება, რომ გერმანელები დიდ სიხარულში არიან იმის გამო, რომ საბერძნეთის მეფე კონსტანტინე მათ მხარეზე დადგა, რასაც არ მოელოდენ. ახლა კი, ამბობენ თურმე ისინი, ოთხთა შეთანხმებას საბერძნეთის 400,000 კაცისაგან შემდგარი ჯარის იმედი ნულარ აქვს. (რ. ვ.)

ტყვეების დასახმარებლად.

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ წითელი ჯვრის მთავარგამგეობას აცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისგან შეკითხვა იყო შემოტანილი, მიეცემა ნება თუ არა ამერიკის წითელი ჯვრის გამგეობას, ზომები მიიღოს და რუსეთში მყოფს სამხედრო ტყვე გერმანელებს დახმარება გაუწიოს. ამ შეკითხვაზე სამინისტრომ უპასუხა შეერთებული შტატების მთავრობას, რომ რუსეთის საიმპერატორო მთავრობა იმ პირობით დაუშვებს ზემოხსენებულ დახმარებას, თუ ასეთივე დახმარებას გერმანიაში მყოფ სამხედრო ტყვე რუსებსაც გაუწევენ. ამერიკის მთავრობამ უკვე აცნობა რუსეთისას, რომ ტყვე რუსების დახმარების საქმეს უკვე აწყობს ამერიკის დესპანი ბერლინში და ამ საქმისთვის ამერიკამ მისს განკარგულებაში გადასცა 10,000 მდე დოლარი. მეორე მხრით ამერიკის მისიამ, რომელმაც ყველა საჭირო ნივთიერი საშუალებანი თვითონ გერმანიის მთავრობისგან მიიღო, სანიტართა რაზმი უკვე გამზადა, რომელშიც 39 მომვლელი და 9 ექიმი შედის; აგრეთვე სამი ვაგონი საავათმყოფოს მოწყობილება—ამუნიცია მიაქვს, ეს რაზმი ბერლინიდან უკვე გავიდა, იგი სტოკჰოლმის გზით პეტროგრადს მიდის. (რ. ვ.)

სოციალისტები და გაფიცვა.

კოპენჰაგენიდან დეპეშით იტყობინებიან, ეროვნული თავდაცვის ინგლისის სოციალისტთა კომიტეტმა ხალხისადმი მოწოდება გამოსცა, რომლითაც იგი ახლახან გამართულ გაფიცვებს ჰკიცხავს და ჰგმობს. (რ. ვ.)

ბულგარეთი და სერბია.

ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთმა ჯარების დაგროვება სერბიის საზღვარზე დაამთავრა, მაგრამ ჯერჯერობით მოქმედება არ დაუწყიათ. შეიძლება სულაც არ დაღვარონ ძმათა სისხლი და მხოლოდ გერმანია—ავსტრიის ჯარების მოქმედების ხელის შეწყობას შეეცადონ. (რ. ვ.)

სერბიაზე გალაშქრება.

გერმანულ გაზეთების გადმოცემით, სერბიაზე გალაშქრება გერმანია—ავსტრიის ჯარმა, რომელსაც ცნობილი მაკენზენი წინამძღოლობს, მდ. დუნაისა და სავის რამდენსამე ალაგის გადალახვით დაიწყეს. (კ. ს.)

ბულგარელების გულახდილობა.

ბულგარული გაზეთი „კამბონა,“ რომელიც სოფიაში გამოდის და აშკარა გერმანოფილებს ეკუთნის, სწერს:

„ვინც რა უნდა სთქვას, ერთი გვჯვს გარეშე: მთელი ქვეყანა დარწმუნდა, რომ ჩვენმა ნეიტრალიტეტმა დიდი სარგებლობა მოუტანა გერმანიას და ავსტრო-უნგრეთს. ჩვენი ნეიტრალიტეტის შედეგი ნათელია: ჩვენ ვაკავებდით აქამდის ბალკანეთის სახელმწიფოებს ავსტრია—გერმანიასთან შეტაკებისაგან და შევინახეთ ზურგი ოსმალეთისა. ამით ჩვენ საშუალება მივეცით გერმანია—ავსტრო-უნგრეთს რუსეთის ჯარი დაემარცხებიათ, ოსმალებს კი—გამარჯვება-გამარჯვებაზე შეეძლებინეთ ინგლის—ფრანგებზე დარდანელში. ასეთ პირობებში ჩვენი ადგილი იყო და არის გერმანია, ავსტრო—უნგრეთ, ოსმალეთის გვერდით. ჩვენი ბრალია, რომ შეთანხმების სახელმწიფონი დამარცხდნენ იმის მაგიერათ, რომ გაემარჯვათ და მილიონი

მსხვერპლი და მილიარდი ხარჯი მოუჯდათ."
(ნოვ. ვრ.)

რუსებს ერიდებიან.

პარიზის პრესის გადმოცემით, ვითომ ოსმალეთი თავის ჯარების გაგზავნას აპირებს ბულგარეთის ნავსადგურებში: ვარნასა და ბურგასში, რადგან, ვითომ ბულგარეთის მთავრობა აცხადებს, რომ მას არ შეუძლია ბულგარელი ჯარის კაცი იძულებული გახადოს ეომონ, თუ ვინიცობა მტერმა ნავსადგურში დესანტი გადმოსხა.

ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

რუსეთი.

აქციზი ქსოვილებზე.

პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ ფინანსთა სამინისტროში კითხვაა აღძრული, რომ ქსოვილებზე გადასახადი დააწესონ. პროექტის ძალით, ქსოვილებს ახალ აქციზს დაადებენ, ვიდრე ფაბრიკიდან გამოვიდოდეს და გასაყიდათ გამზადდებოდეს. აქციზი უნდა დაადვან აბრეშუმის, მატყლოვნისა და ბამბეულობის ქსოვილებზე. ამ პროექტის ავტორები ამ ზომას იაპონიის მაგალითით ასაბუთებენ, რომელსაც რუსეთ-იაპონიის ომის დროს შემოუღია ასეთი აქციზი და დღემდე სარგებლობს.
(რ. ვ.)

ჩინეთელი მუშები.

გარეშე საქმეთა სამინისტრო ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტს შემდეგ ცნობას აწვდის ჩინელ მუშების შესახებ. რუსეთის ხარბინელი ელჩი რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო საჭიროებისათვის ჩინელ მუშებს აგროვებს და დანიშნულებისამებრ რუსეთში გზავნის. მისი ცნობებით, დღემდე ურალის ქარხნებსა და მადნებში გამოუგზავნიათ სულ 6,000 ჩინელი მუშა, მაშინ როდესაც საჭირო იყო თურმე 50,000-მდე კაცი. ელჩი იმის მიზეზათ, რომ საკმაო რიცხვი მუშებისა ვერ შეაგროვა, გადმოყვანის მოუწყობლობის გარდა, იმასაც ასახელებს, რომ გერმანელი აგენტები ჩინელ მუშებში აგიტაციას ეწევიან, არ წამოვიდენ რუსეთშიო. აფრთხობენ მათ სხვადასხვა ცრუ ხმებით, ვითომ ჩინელ მუშებს რუსები ბრძოლის ველზე გზავნიან სანგრების სათხრელათ და სხვა. (რ. ვ.)

ახალი მინისტრი.

ახლათ დანიშნულ შინაგან საქმეთა მინისტრის შესახებ გაზეთი „რუსკია ვედომოსტი" სწერს: „ახალი მინისტრი ხვოსტოვი იუსტიციის მინისტრის ხვოსტოვის ძმისწულია, რომელიც ერთ დროს უკიდურეს მემარჯვენეთა სათათბირო ფრაქციის თავჯდომარეთ ითვლებოდა. ამ ომის დროს, თუმცა ხვოსტოვს მემარჯვენეებთან კავშირი არ გაუწყვეტია, მაგრამ თავს კი განზე იჭერდა და პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობას არ იღებდა.

ქართული პრესა.

წვრილი კრედიტის დაწესებულებათა და კოოპერაციების მნიშვნელობის შესახებ და იმ როლზე, რომელსაც ეხლა ისინი თამაშობენ ჩვენს ცხოვრებაში „საქართველოში" ს. ქ. შემდეგსა სწერს.

მართლაც გაიარა თუ არა აუცილებლად საჭირო დრომ და ჩვენი ხალხი გამოერკვა თუ არა პირველ გაოგნებისაგან, რაშიაც გახვია იგი ბუნებისა და ადამიანის დაუნდობელმა ბოროტებამ, იგი დაუყონებლივ შეუდგა ბედის წინააღმდეგ ბრძოლას. რადგანაც უბედურება საერთო იყო და ყოველი მკვიდრი სოფლისა თანაბზგავსს მატერიულ მდგომარეობაში იქმნა ჩაყენებული, ამიტომაც ყველგან და ყველაში ერთბაშად იფეთქა გაერთიანების იდეამ. პირველყოვლისა შეერთდენ რაც რამ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დაწესებულებანი არის, სადა ასეთი ორგანიზაციები არ არის, იქ ყველა იმის ცდაშია, რომ ისინი დაუყონებლივ შემოიღონ. საერთო ვარამის წინააღმდეგ შემოკავშირებული ძალით გალაშქრების მოწყობაში ფასდადებული როლი ითამაშეს წვრილი კრედიტის ამხანაგობებმა და სხვა და სხვა გვარ კოოპერატივებმა. ბოლო ხანებში ძალიან გაცხოველდა ამ ამხანაგობების კრებები მაზრა-მაზრად; ითვალისწინებენ საერთო ეკონომიურ მდგომარეობას, შიმშილობის სიგრძე-სიგანეს, ეძებენ პრაქტიკულ ღონისძიებას და საშუალებას ხალხის საჭიროების დასაკმაყოფილებლათ. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ერთი ღალრესად საგულისხმიერო მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ამ კრებებზედ: ეს გახლავთ, აგრე რომ ვსთქვათ, ფსიხოლოგიური ექსპანსიობა. თითოეულ წვრილ კრედიტის ამხანაგობის წევრთა კრებაზე იბადება აზრი უთუოდ მეორეს შეუკავშირდეს, რომ ერთად იბჭონ და იმსჯელონ საერთო გაჭირვების შესახებ. ამ ნიადაგზე, სამაზრო ქალაქში იმართება შეერთებული კრება იმ მაზრაში მოქმედ კოოპერატივებისა. აქ ამ საერთო ყრილობაზე, მაზრის საერთო მდგომარეობის გათვალისწინების შემდგომ, ცხადდება მეორე მაზრასთან აუცილებელი შეკავშირების საჭიროება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ზუგდიდ-სენაკის-ზესტაფონის საკრედიტო ამხანაგობათა კრებებს, რომლებიც ამ დღეებში მოხდა. ამ ნაირად ხალხის ინიციატივა და ალღო მოითხოვს კოოპერატივების სამაზრო კავშირს, მერე სამაზროთაშორისო ან საგუბერნიო კავშირს. უბრალო სოფელი გასცდა თავის ეზო-კარს, თავის სოფელს, მაზრას და თვით მივიდა საგუბერნიო კავშირის დაარსების საჭიროების კიდემდე. უბრალო სოფელმა ქვეყანა დაინახა. ცოტა მეტი მუშაობა, ცოტა მეტი დრო და მისი შეგნება ამაღლდება საერთო ეროვნულ ორგანიზაციის საჭიროების იდეამდე.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღეს, 1 ოქტომბერს, ქართველ მსახიობთა ამხანაგობა, **შ. დადიანის** მეთაურობით, ქალაქის თეატრში იწყებს წარმოდგენების მართვას. სეზონის დასაწყისისთვის წარმოდგენილი იქნება **ი. გედევანიშვილის** ცნობილი პიესა **„სანათლე"** 6 სურათად. მონაწილეობს მთელი დასი, სიმებიანი ორკესტრი **კარაგოზიანის** დირიჟორობით და მომღერალთა გუნდი **მ. შარაბიძის** ლოტბარობით. პიესისათვის შეკერილია ზოგიერთი ახალი ტანთსაცმელი, დამზადებულია განსაკუთრებითი ბუტაფორია და დახატულია ჯოჯოხეთი. წარმოდგენა სრულ 8 საათზე დაიწყება.

✦ სამშაბათს, 29 სექტემბერს, ქუთაისში გაიხსნა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა არაჩვეულებრივი კრება. კრებამ ერთხმათ მიიღო საბჭოს წინადადება, აილონ სესხათ სამოცი ათასი მანეთი. კრება შემდეგი დღისათვის გადაიდვა.

✦ სამშაბათს, 29 სექტემბერს, ქუთაისში ჩამოვიდა პირველი სამხედრო სანიტარული მატარებელი, რომელმაც ჩამოიყვანა ოსმალეთის ფრონტიდან დაჭრილი 3000 ჯარის კაცი.

✦ საგლეხო საკრებულომ უკვე დაარიგა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთათვის კავკავიდან გამოწერილი სიმინდი. ამავე საკრებულოში შუამდგომლობა აღძრეს ოკრიბის მცხოვრებლებმა, რათა მათთვის განსაკუთრებით იქნას გამოწერილი და დარიგებული სიმინდი სესხის სახით.

✦ ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით, ამ მოკლე ხანში დროებით გამოიცემა ხურდა ფულის მაგიერ მარკები 20, 15, 10, 3, 2, 1. ეს მარკები იქნება ხმარებაში, ვიდრე ხურდა ფული არ დამზადდება.

✦ ხვალ, 2 ოქტომბერს, მოწამეთის მონასტრის დღეობა არის. ამ დღისთვის ქუთაისიდან განსაკუთრებული მატარებლები დაინიშნება.

✦ ქალაქის ლაბორატორიის გამგე ტყეშელაშვილი უკვე დაბრუნდა ნაქერალის მთიდან, სადაც მან ანალიზი გაუკეთა მოხოულის დაჩას ქუთაისის წყალსადენისათვის წყაროებს. წყალი კარგი შემადგენლობის გამომდგარა.

✦ ქალაქის სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ ოქმი შეუდგინა ბალახვანის და ორპირის ქუჩაზე მეფურნეს გვარაძეს პურის უსუფთაობისათვის და გაგზავნა გასაშინჯავათ ქალაქის ლაბორატორიაში.

✦ გმირი ქართველი. ბრძოლის ველიდან ჩამოვიდა დაჭრილი უბრალო ჯარის კაცი შავი ქვის საბჭოს ბუღალტრათ ნამყოფი პლატონ ლეჟავა, რომელიც ბრძოლაში დაჯილდოვებულ იქნა წმ. გიორგის ოთხივე ხარისხის ჯვრით, ოქროს ხმლით, 5 ორდენით და პრაპორშჩიკის ჩინით.

✦ გუშინდელ შავი ქვის მრეწველთა კრებაზე დაადგინეს მოემატოს $^1/_4$ კ. საფუთო გადასახადს ვალის დასაფარავათ. ამავე კრებაზე დაადგინეს მიულოცონ დეპეშით კრების სახელით კავკასიის მეფის მოადგილეს მის იმპერატორობითი უმაღლესობას ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

✦ ქუთაისში ნავთი უკვე აღარ იშოვება, საჭიროა დაჩქარებით ზომების მიღება, ვისაც ჯერ არს, რომ მცხოვრებლები უნავთოთ არ დრჩნენ.

✦ ქალაქის გამგეობის ვაგონების განმანაწილებელმა კომისიამ შემდეგნაირათ გაანაწილა ვაგონები: 16 ფქვილის მისატანათ შაქრისთვის—4, მარილისთვის 5, ნავთისთვის 2 სხვა და სხვა სანოვაგესთვის.

✦ სამშაბათს, 29 სექტ. ქუთაისის ქალაქის გამგეობის სათავსო კომისიამ დაადგინა, დაწესდეს აუცილებლათ წყლის მზადყოფნისთვის ნახრი.

✦ 22—27 სექტ. ქუთაისში შემოვიდა ფქვილი 10 ვაგონი, ქატო 1 ვაგონი, სიმინდი 6 ვაგონი, თივა 8 ვაგონი, ბზე 2 ვაგონი, ცემენტი 2 ვაგონი, ქვანახშირი 2 ვაგონი, შაქარი 393 ფუთი, შუშა 9 ვაგონი, კარტოფილი 1 ვაგონი, სხვა და სხვა. 6884 ფუთი.

სოფლები.

✦ ს. ქვიანი (გურია) ამ დღეებში ჩვენმა საზოგადოებამ მიიღო გ. ქავთარაძისაგან 2 ათასი ფუთი სიმინდი. დარჩენილია მისაღები 6300 ფ. საჭიროა დროით გამოუგზავნონ ხალხს დარჩენილი სიმინდი. სესხის სახით.

აქ დიდი ხანია არსებობს სამკითხველო, რომელსაც მოუდის მხოლოდ ორი გაზეთი: „სახალხო ფურცელი" და „თან. აზრი".

სახალხო მასწავლებლებს.

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ვინ იცის—რამდენს მღელვარებასა და დავიდარაბას გვაგემებს იგი. ვინ მოსთვლის—რამდენი გულწრფელი მუშაკი მოჰგლიჯა მკერდიდან წარსულმა წელმა

სამშობლო სკოლას. ვინ იცის—რამდენი ძვირფასი ამხანაგი გამოაკლდა

ქართველ სახალხო მასწავლებლობას. დიდია, ძალიან დიდი ჩვენი დანაკლისი. წარსულს სასწავლო წელში ცრემლის მეტი რა ვნახეთ? დიახ, რომ არაფერი. მაგრამ, ჩვენ—სახალხო მასწავლებლებს—განა ცრემლი შეგვაშინებს? ჩვენ, რომელთაც ცრემლთა ნაკადის მეტი სიცოცხლეში არა გვინახავს—რა, გაჭირვება დაგვაფრთხობს რასმეს? ჩვენ, რომელნიც მუდამ ტანჯვაში ვართ, ახალი სატანჯველი ქედს მოგვახრევინებს?! არა მგონია—ქვეყნად იმისთანა შევიწროება არსებობდეს, რაც ჩვენ არ გვენახოს; მაგრამ მაინც ცოცხლები ვართ და, მგონი, წინანდელზე მეტს გამჭრიახობასაც ვიჩენთ; მგონი, წარსულს წელში ცრემლებთან ერთად, ამომხრწყინდა ჩვენი ბედის ვარსკვლავი და შეაშუქა საქართველოს ბნელს ცხოვრებაში და თუმცა ჯერ ბურუსშია გახვეული, თუმცა მას ზედ გადაჰკვრია შავი ღრუბლის ტლანქი ნისლი, მაგრამ მისი მოელვარე სხივები მაინც ანათებენ.

მაგრამ საქმე ის არის, რომ მასწავლებელთა მოწინავე ნაწილი, თითქმის, განახევრდა. შეგნებული მასწავლებლები წელს ბევრი გამოაკლდა ჩვენს სკოლას, რომელიც აღორძინების გზას ადგია და ძლიერ საჭიროებს წესიერ ხელმძღვანელებს. მართალია, ბევრი კარგი ყმაწვილი დაინიშნება ახლაც, მაგრამ, მინამ ისინი საქმეს გაეცნობოდენ, წინმსვლელობა სწავლის მოწესრიგების საქმეში, რა თქმა უნდა, შეფერხდება. აქ ისევ იმ ძველმა მასწავლებლებმა უნდა იკისრონ ხელმძღვანელი როლი, რომლებიც ჯერ-ჯერობით გადურჩენ მრისხანე ისტორიულ მომენტს. ხშირად გაიგონებთ—უმრავლესობა წავიდა, გულწრფელნი მუშაკნი გამოგვაკლდენ და ორიოდე კაცს რა შეგვიძლიაო, მაგრამ ეს ხომ გულგატეხილობაა და მეტი არაფერი.

ჩვენ ხომვალდებული ვართ შესაფერი ანგარიში გავუწიოთ დროთა ვითარებას და არა გულ-გრილად შევხვდეთ რაიმე საინტერესო შემთხვევას. დღეს, სასწავლო წლის დასაწყისში, ბევრი საჭირბოროტო კითხვებია გადასაჭრელი. ერთი მხრით—შიმშილი და მატერიალურად უზრუნველყოფა, მეორე მხრით—სწავლის მოწესრიგება და მისი ყველა სკოლებში შეფარდებულად წარმოება—აი, ის მთავარი კითხვები, რომლისკენაც უნდა იქნეს მიპყრობილი მთელი ჩვენი ყურადღება. ზოგს ადგილებში იმართება ყრილობები, ზოგან-კი თვით ჩვენ უნდა შევიკრიბოთ და მოვითხოვოთ ის, რაც გვეკუთნის. ვიმეორებ, ვერავინ თავს ვერ გაიმართლებს სამშობლოს წინაშე იმით, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა გულგრილად ეკიდება საქმეს და რამოდენიმეს, აბა, რა შეგვიძლიოო. საჭიროა, ყველამ ერთხელ და სამუდამოდ უკუაგდონ კინკლაობა და ერთგულად მოეკიდონ სკოლის აღორძინების საქმეს.

საჭიროა, ყველა, როგორც ერთი

მწარე სიმღერა.

ვზივარ მარტოკა, ნაცნობ არეს მოშორებული,
და გული მტკივა, ცრემლებსა ვღვრი, ვქვითინებ მწარედ...
თანამგრძნობელსა ვერ პოულობს ობოლი სული,
ცივი ქვეყანა მეჩვენება შავ-ბნელ სამარედ...

ჭეშმარიტების გზას სდარაჯობს შავი აჩრდილი,
გარშემო დრტვინავს ჯოჯოხეთი, ჰქრება ნათელი,
აგერ მდიდარი.. ქისას ავსებს განცხრომის შვილი,
იქ კი... იქ სისხლით ილებება ცხოვრების ველი...

დავეძებ... მაგრამ სინამდვილე არ მიშვებს წინა
სიცოცხლის დღენი შეუმჩნევლად, სწრაფად მიჰქრიან...
ოხ! გულმა მწარედ დაიკვნესა, ამოიგმინა,
და თვალნი ისევ სინანულის ცრემლებსა ღვრიან...

ეჰ, ღმერთო ჩემო! სანამ უნდა იდინოს ცრემლმა!
როდემდის უნდა მოვითმინოთ ტანჯვა—ვაება?!.
ნუ თუ ამ ტიალ ბოროტებას არ დაჰკრას გრდემლმა,
ნუ თუ ამ ტანჯვას ვერა ხედავს მაღლით ღვთაება?!

ვზივარ მარტოკა... ნაცნობ არეს მოშორებული,
ვერ ვხედავ ჩემს ტკბილ სანეტაროს, ვქვითინებ მწარედ...
თანამგრძნობელსა ვერ პოულობს ობოლი სული,
ცივი ქვეყანა მეჩვენება შავ-ბნელ სამარედ...

მ. ელზაშვილი.

ქ. მოსკოვი.

ჰინკა და არღანი.

კატულ მენდესისა.

I

ერთხელ ჰინკას ფუტკრებთან ჩხუბი მოუვიდა: შეიპარა მათ სკაში და ხარბათ დაუწყო თაფლს ჭამა.

ყვავილთა ნექტარით დამთვრალი, ბრჭყვიალა ფრთიანი, ოქროს ფერი მწერები დაესივნენ ცელქ ჰინკას და თაფლის წვენი შხამით შეარგეს.

უბედურმა ჰინკამ აღარ იცოდა რა ექნა, გამოვარდა სკიდან და უგზო-უკვლოდ მოედო ტყეს. ყირწა-ყურწა გადადიოდა იგი ბალახიდან ბალახზე, ფიჩხიდან ფიჩხზე, მაგრამ ფუტკრები მაინც თავს არ ანებებდენ და გუნდ-გუნდათ მისდევდენ უკან და გამწარებით ჰკბენდენ.

ჰინკამ დაჰკარგა იმედი ხსნისა, მაგრამ სწორედ ამ დროს სოფლის შარა გზაზე გამოჩნდა ძონძებში გახვეული, თმა-აბურძგვნილი და ჭუჭყიანი მათხოვარი. იგი საცოდავათ აღრიტინებდა დანჯღრეულ არღანს.

თქმა არ უნდა, რომ დაქანცულ-დაცხავებული არღანი საცოდავათ იწრიპინებდა, მაგრამ ჰინკა ახლა იმის გუნებაზე არ იყო, რომ საჯრავის ჰანგების სიავკარგე გაერჩია, იგი მხოლოდ ფუტკრებისაგან თავის დახსნას ცდილობდა და—ანაზდეულათ არღანში კი შეძვრა.

ჰინკა მაშ რისი ჰინკა იქნებოდა, რომ რაიმე ეშმაკობა არ მოეგონებინა.

რაკი ფუტკრებმა ჰინკა თვალიდან დაჰკარგეს, ერთხანს იბზუილეს, იტრიალეს სოფლის შარა გზაზე და, რომ ველარას გახდნენ, დაუბრუნდნენ იუმათოდ მოწყენილ ყვავილ-ბალახებს.

სამაგიეროთ მათხოვრის არღანს უცნაური რამ ამბავი დაემართა. მისი წრიპინ-სრიალი დიდებულ ჰარმონიით გადაიქცა, გეგონებოდათ, რაც ქვეყნით მგალობელი ფრინველია, ყველამ ამ დამტვრეულ კოლოფში დაიბუდაო. არღანი იგი გამოსცემდა ხან სიყვარულით დამთვრალ ბულბულის ხმას, ხან მზის პირველის სხივით გამოღვიძებულ ტოროლას რაკრაკს, ხან კი სევდა მოსილ იადონის სტვენას!.. რა იყო ამის მიზეზი?

ამის მიზეზი გახლდათ ისევ ის ცელქი და მოუსვენარი ჰინკა!..

მოეწყინა ჰინკას არღანში მარტოთ ყოფნა და მოჰყვა სიმღერას გულის გასართობათ. ვინ არ იცის, რომ ულრან ტყის შვილი ჰინკა მცოდნეა ფრინველთა ენისა და ხმა მისი ყველა ხელოვან მომღერლის ხმაზე უფრო მოქნილია.

არღნის ასეთმა გამოცვლამ ყველაზე უფრო გააკვირვა თვით პატრონი ამ არღნისა—მწირიანი გლახაკი. განუწყვეტლივ ატრიალებდა არღნის ხელს და პირდაღ შული ისმენდა მის დაურულებელ, მშვენიერ ჰანგებს.

ამასობაში გაიღო სოფლელია ქოხმახების კარ-ფანჯრები და სიამოვნებით თავბრუ დასხმული ხალხი აღტაცებით გაიძახოდა:

— რა მშვენიერი ხმებია, რა დიდებული სიმღერებია!

ყველამ—თვით უძუნწესმაც-კი ჯიბეზე ხელი გაიკრა და მეარღნეს ბლუჯა-ბლუჯა გროშები გადმოუყარა. ქალებსა და ცირებს თვით გლახაკიც ისეთი უმსგავსო აღარ ეჩვენებოდათ, როგორიც მათ პირველ ხანებში ეგონათ. დაუვარცხნავი და აბურძგვნილი თმა გლახაკისა მზეზე ოქროს ფერივით ბზინავდა.

— მზე რომ არა ჰქონდეს მოკიდებული ძალიან თეთრი ყმაწვილია! გაიფიქრეს ქალებმა.

საკვირველი კი არის, მაგრამ ძალიან ხშირად ხდება, რომ ვისი ხმაც მოგვწონს, სახე მისიც სანდომიანათ გვეჩვენება, ვინაიდან ისე მხედველობა არ ხიბლავს ჩვენს გულს, როგორც ხიბლავს ხოლმე მას სმენა...

II

მარტო დაბა-სოფლად არ გაითქვა სახელი ღარიბის მუსიკოსისა. მის შესახებ ახმაურდენ დიდრონი ქალაქებიც. ყველას უნდოდა ენახა იგი, მოესმინა მისი მუსიკა. ჯერ არც ერთ მუსიკას არ მოუხიბლავს ქვეყანა ისე, როგორც ხიბლავდა დიდსა თუ პატარას არღანი ოდესღაც მათხოვარა მუსიკოსისა. დღეს იგი აღარ მათხოვრობდა, მას დიდი მოწიწებით ეპატიჟებოდენ, ეხვეწებოდენ: გუბერნიერებინა ესა თუ ის თავადის ქალი, ანუ რომელიმე მარკიზა თავისის მიბრძანებით...

ერთი კი გადაატრიალებინა ხელი თავისის არღნისა და სიამოვნებით თავს ბრუ დასხმულ კეკლუცები ოხვრით ამბობდენ ხოლმე:

— ოხ, რა მშვენიერი ხმებია. რა ღვთიური მელოდიაა... თვით ანგელოსთა წინწილ-ებანნიც კი ვერ გამოსცემენ ასეთს, კაცის გულის დამატყვევებელ ჰანგებსაო—მოისმოდა ხოლმე აქეთ იქიდან წკრიალა ხმა მუსიკით გულაძგერებულ მშვენიერ ბანოვანთა...

ესმოდა ყველა ეს ჩვენს მუსიკოსს და სჯეროდა კიდეც ეს ქება. იგი უკვე შეეჩვია ხოტბა-დიდებას...

ვიღას ახსოვდა, რომ მუსიკოსი იგი ოდესღაც ფეხშიშველა, ჭუჭყიანი გლახა მატანტალა იყო! დღეს მას ტანთ ეცვა ძვირფასი ფარჩა—ოქრომკერდით მოქარგული, თავზე ედგა ძვირფასი ჯილა, თვალმარგალიტით მორთული. მისი მშვენივრათ დავარცხნილი კოჩორი, სუფთა და წმინდა სახე, ლამაზი თვალები ყველას აგიჟებდა. იგი იმდენათვე მდიდარი შეიქმნა, რამდენათაც სახელოვანი... ვიღა გაუბედავდა გროშების მიცემას! თუ ერთ დროს სოფლის ჭუჭყიან ქუჩებზე შორიდან ესროდენ თითო-ოროლა კაპეიკს, ახლა მდიდართა პირისფარეშები ძვირფასის ლანგრებით მიართმევდენ ხოლმე ოქროს ფულებსა და პატიოსან თვალებს და თან მოწიწებით სთხოვდენ:

— ლანგრებიც თქვენ ინებეთო, ხოლო კეკლუცზე უკეკლუცესი ქალიშვილები ერთმანეთს ეცილებოდენ და საიდუმლო პაემანის დროს უფრო უძვირფასესს საჩუქრებს აძლევდენ.

სახელგანთქმულმა და ყველასაგან განებივრებულმა მუსიკოსმა თვით ხელმწიფის ქალიშვილიც კი მოხიბლა! ვიდრე ეს ქალიშვილი თავისი თვალით ნახავდა ჩვენს მუსიკოსს, ხმები მის ხელოვნებაზე ცოტა გადაჭარბებული ეგონა, მაგრამ, გადაატრიალა თუ არა მშვენიერმა ჭაბუკმა ხელი თავისის არღნისა და ახმაურდა თუ არა თვით არღანიც, ხელმწიფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი, ალივსოს შრომის-მოყვარეობით და აღფრთოვანებული, რომ წინ დიდი მომავალი გვაქვს, შეუდგეს მუშაობასა და არავითარ დაბრკოლებას არ დაერიდოს, საერთო საქმის გასაკეთებლად. საჭიროა, მოწინავე მასწავლებლებმა ხელი შეუწყონ ახალ-გაზრდათა საქმიანობას და მათი ძალა განავითარონ ჩვენი სკოლის სასარგებლოდ. **ნარქანი.**

ებრაელთა ცხოვრება.

მოწოდება საქართველოს ებრაელთა რაბინებისადმი.

ქართველ ებრაელთა რაბინებს შემდეგი შინაარსის მოწოდება დაეგზავნა: მოგმართავთ თქვენ, ქართველ ებრაელთა ყველა რაბინსა და მოძღვრებს, მოგმართავთ ყველას, ვისაც კი მართლა ეკუთნისთ და სამართლიანად დაგიმსახურებიათ ეს მრავალმნიშვნელოვანი სახელი, ვისაც კი ცოტად თუ ბევრად მაინც გაწუხებთ და გაფიქრებთ თქვენ მოძმეთა ხვედრი და მდგომარეობა, თუ არ გამქრალა თქვენში უკანასკნელი ნაპერწკალი და კიდევ ღვივის თქვენი გულის კუნჭულში იმედის ნაპერწკალი კეთილ-მომავლისადმი, გაითვალისწინეთ ეხლანდელი მდგომარეობა; მან წარმოშვა აუარებელი ისეთი საკითხი რომელიც ჩვენგან სულ სხვა ახსნასა და განმარტებას მოითხოვს. ამიტომ ჩვენ აუცილებელ საჭიროებად ვსთვლით მოგმართოთ ამ მოწოდებით, რომ დაესწროთ ყველა კუთხის ქართველი ებრაელები იმ საერთო სარაბინო კრებას, რომელიც **დანიშნულია 13 ოქტომბერს**, მთავრობის ნებართვით, ქ. ქუთაისს. სარაბინო კრების დანიშნულებაა გაუწიოს ანგარიში ქართველ ებრაელთა ცხოვრება-მდგომარეობას, იმსჯელონ და აღმოაჩინონ ის გზები, რომელნიც ხელს შეუწყობს ქართველ ებრაელთ ზნეობრივად და კულტურულად აღორძინება-წარმატებას, დაარსება რიგიანი სასწავლებლებისა და სამკითხველოებისა საქართველოს ყველა კუთხეში, სადაც კი ქართველი ებრაელნი სცხოვრობენ, გავრცელება ქართველ ებრაელთა შორის მუშაობა-ხელსაქმიანობისა ღ მოსპობა მათ შორის ვაჭრობა-ჩარჩობისა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება და სხვა. მრავალი საკითხია განსახილველი, რომელთაც კრება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს. ამიტომ მოვუწოდებთ საქართველოს ყველა კუთხის რაბინებს, დაესწრონ 13 ოქტომბერს, ქ. ქუთაისში, საყოველთაო სარაბინო კრებას; აგრეთვე ვსთხოვთ, ყველა რაბინს თან წამოიყვანოს ერთი ან ორი კაცი თავის მრევლიდან—წარმომადგენლად“

ცხინვალის რაბინი ხვალესი.

ებრაელის სიხარული.

საქართველოში ორთოდოქსიულ უფროსად და ავტორიტეტულ პირად ითვლება ცხინვალის რაბინი ხვალესი, ამიტომ სრული დარწმუნებული ვართ, რომ მისი ძლიერი მოწოდება, რომელიც იბეჭდება ყველა ქართულ გაზეთში დიდ სიხარულს გამოიწვევს ყველა შეგნებულ ებრაელის გულში, და თვით რაბინებიც დიდი სიამოვნებით შეხვდებიან იმ დიდებულ სიტყვებს, რომლითაც მოგვმართავს დიდებული რაბინი ხვალესი და კიდეც ყველა რაბინი ეცდება მობრძანდეს ქ. ქუთაისში დანიშნულ დროს, ე. ი. 13 ოკტომბერს.

დღევანდელმა ჩემმა მგზავრობამ ღრმად დამარწმუნა, რომ, როგორც ჰაერი საჭიროა ცოცხალი ადამიანისთვის, ისე საჭიროა რაბინების ჯგუფი და საერთო ძალების მოკრეფა, ურომლისოთაც ჩვენ სუსტნი ვართ ანგარიში გავუწიოთ ყველა იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რომელიც დღევანდელმა მომენტმა თვალწინ დაუყენა ჩვენს კულტურულად ჩამორჩენილ მოძმე ქართველ ებრაელებს. თითოეულ პიროვნებას, შეიძლება, ბევრი რისამე გაკეთება უნდა, მაგრამ მისი სურვილი განუხორციელებელი რჩება, რადგანაც ცხოვრებაში ბევრი ხელის შემშლელი პირობები ელობება წინ. ავიღოთ თუნდა მაგალითისათვის ცხინვალში არსებული, ბატონი ხვალესის მეცადინობით, „თალმუდთორა“. ეს რვა წელიწადია, თურმე იმისთანა ნაყოფი მოუტანია, რომ ჩემს ახლა იქ ყოფნის დროს სულიერად ავღელდი ებრაელ ბავშების სწავლა-განვითარებით, მაგრამ, სამწუხაროდ, შეიძლება, დიდხანს არ გასტანოს მისმა არსებობამ, რადგანაც მას ახლა ნივთიერი სახსარი აკლია და, თუ ჩქარა არ მიეშველეთ, დაიკეტება. აგრეთვე ბევრგან არიან კაი მასწავლებლები ჩვენი ძვირფასი თალმუდის, მაგრამ, მათი ცოდნა უნაყოფოდ რჩება, რადგანაც არა გვაქვს მათთვის შესაფერად მოწყობილი სასწავლებლები. ამავე დროს არიან ისეთი უღირსნი პირებიც, რომელთაც სრულებით არ ესმისთ არც მეთოდი სწავლისა და არც ელემენტარული პედაგოგიკის გაეგებათ რამე და დაპატრონებიან სკოლებს და გვიხდიან მომავალ თაობას.

ნუ თუ ეს მოვლენა ჩვენთვის სატირელი არაა, ვისაც კი თავისი ან სარწმუნებელი უყვარს და ან თავისი ერი?..

საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ ფაქტს: ერთხელ სასამართლოში ვიყავი იქ ირჩეოდა ერთი ჩვენი მასწავლებლის საქმე. მოსამართლე ბრალდებულს შეეკითხა რა ხელობისა ხარო?

—მასწავლებელიო, უპასუხა.—წერა იციო, ჰკითხა მოსამართლემ. არაო, მიუგო მან.

ამ ამბავმა, ერთი სიცილი გამოიწვია დამსწრეთა შორის, ხოლო მე კი სირცხვილის ოფლი დამესხა. მასწავლებელია და წერა არ იცის!! მკითხველმა განსაჯოს, როგორი იქნება მისი აღზრდილი ბავში. ასეთ ანორმალურ მდგომარეობაშია ჩვენი საქმე. და თუ ჩვენ, რაბინები, და ჩვენთან ერთად ქართველი ებრაელობის მოწინავე პირები არ შევერთდით და საერთო ძალღონით არ შევუდექით ჩვენი საქმეების გამოწყობას, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სულ მუდამ სიბნელით ვიქნებით მოცული და ჩვენთვის არაოდეს არ გაბრწყინდება.

სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენი პატივცემული, ხვალოსი ცხინვალის რაბინი მოგვიწოდებს ყველას საერთო სამოქმედო საქმის შესამუშავებლად და იმის გამოსაკვლევად, თუ რა ესაჭიროება ქართველ ებრაელებს და რა გზას უნდა დაადგეს იგი.

ამიტომ სიამოვნებით მივეგებებით ჩვენი უფროსი რაბინის მოწოდებას და სრული იმედიც გვაქვს, რომ მისი თხოვნა არ დარჩება ხმად მღაღადებლისათ უდაბნოსა შინა.

ონის რაბინი **დავით ბააზოვი.**

მსახიობი იუზა ზარდალიშვილი

(წრევანდელი სეზონის გამო).

დაჭრილი ჯარის კაცები თფილისში.

ამ ჟამათ თფილისში იმყოფებიან შემდეგი დაჭრილ-დაავადმყოფებული ქართველი ჯარის კაცები: დარჩია ივანე ბესარიონის ძე, კოლ. რეგისტრატორი, დაბაბაშვილი ივანე ბესარიონის ძე, ლაზ. № 31, ადამია ალექსანდრე ბესარიონის ძე, საგინაძე ლევარსი ივანეს ძე, მამასახლისოვი ერასტო ლაზარეს ძე, ერაძე არს. მაქსიმეს ძე—№ 8, მელაძე მიხაკო, გაგუა სევერიანე პორფირეს ძე, გურაშვილი თევდორე ისაკის ძე, პაპალაშვილი მოსე გიორგის ძე—№ 38, ბეკვაშვილი ილიკო პეტრეს ძე, კვახაჩელიძე ნიკიფორე—№ 43, ბედიაშვილი გიორგი სოსიკოს ძე—№ 25, ყუბლოდაშვილი ალექსი ივანეს ძე, ჩეჩვაძე დიმიტრი გიორგის ძე, დღუარიძე (?) სერგო მოსეს ძე, წერეთელი კონსტანტინე სარდიონის ძე, ჩიქოვანი ისიდორე გიორგის ძე, ხვადაგიანი ისაკი გიორგის ძე, ხოსია იასონ, მოდებაძე ბიქტორ, შავერდაშვილი ივანე, გურგენაშვი არტემ ზაქარიას ძე, სესიბაძე ლადიკო ზაქარიას ძე,—№ 11, ჯილია გიგო, გულავა გიგო მაქსიმეს ძე, ესმაშვილი ერასტო გიორგის ძე, შონია გუსტავ კონსტანტინეს ძე, ბაცაძე მოსე ასლოს ძე, დონაძე კონსტანტინე, დავლაშერიძე ლევან შიოს ძე, გაბიტაშვილი გიორგი ლევ... სუგუბაია ვასილი, ზარგია ლავრენტი, კარაჩავა მიტროფან, შენგელია გიგო ალექსანდრეს ძე, [illegible]ლიანი ნოე პავლეს ძე, [illegible] გიორგის ძე, აიცურაძე ისაკი საქროს ძე, ლომიძე ლეონტი დიმიტრის ძე, ჩავა სიმონ ერასტოს ძე, გობიხაშვილი სიმონ, ზედგინიძე გიგო, ბრეგვაძე ლეონტი, ომარაშვილი სერგო, ლაფიაშვილი პავლე, არჩიბაძე მიშა, პატალაშვილი ზაქრო, უსენაშვილი სპირ. ივანეს ძე, ლაზ. —№ 23.

პატარა ფელეტონი

„საქართველოს ყვავილები ქუთაისში.“

(რეცენზიის მაგიერი.)

ერთ საღამოს ჩავიარე კან. „იმერეთის“ ვიტრინასთან, და ჩემი ყურადღება მიიქცია ფერადად დახატულმა პლაკატმა, რომელზედაც წითელი ასოებით ეწერა „საქართველოს ყვითელი“. პლაკატის თავში დახატული იყო ორი ყვავილი ქალი (თუ კაცი ვერ გავარჩიე) უფრო ქვევით ეწერა: გ. ტაბიძე, და სულ ბოლოში სიტყვა „პოეზიის“ ქვეშ მიწერილი იყო რამდენიმე კაცის გვარი. სათვალეების დახმარებით ამ გვარში ძლივს ამოვკითხე სამი: ელენე დარიანი, შოთა დადიანი და ვ. რუხაძე. დანარჩენი წარწერა ისევ გაუგებარი იყო, როგორც ნაპოლეონის ფაქსიმილე. იქვე მდგომ ახალგაზრდა ქალისაგან გავიგე, რომ ეს პლაკატი დაუხატია, ვიღაც ახალგაზრდა კაცს, იტალიიდან ჩამოსულს, რომლის სახელიც პაოლო არის, გვარი კი არ ვიცით. „პოეზიის“ ქვეშ მიწერილი გვარები ნიშნავდენ „საქართველოს იმ ყვავილებს“, რომლებსაც კვირას უნდა დაემშვენებინათ ქუთაისის ქალაქის თეატრის სცენა.

რადგან გალაქტიონ ტაბიძის პატივის მცემელი ვიყავ, და ყვავილების დიდი მოყვარულიც, კვირას გავეშურე ქალაქის თეატრისაკენ.

დიდი მოლოდინის შემდეგ აიხადა ფარდა. სცენაზე ყველაფერი შავად მოსჩანდა. შუა ადგილას ამართულიყო რაღაც შავი, მაღალი ოთხკუთხი, რომელზედაც ჩვეულებრივი ხის კიბე იყო მიდგმული. ორი წუთის ლოდინის შემდეგ, სცენაზე გამოვარდა შავად მორთულ ახალგაზრდა კაცი, ჩქარის მოძრაობით აირბინა და ორბივით გადმოაჩერდა ხალხს.

„პაოლო, პაოლო...“ გაისმა ჩემს გარშემო. მე სულ უკანა რიგში მქონდა ადგილი, და ვერც იმ იტალიელს ვხედავდი გარკვევით, და არც ყვავილის სუნი მოდიოდა ჩემამდი, მაგრამ, რადგან პირველ რიგში რამდენიმე თავისუფალი ადგილი იყო, მეც თავისუფლად გავეშურე იქით და შევამჩნიე ადგილი ერთ პრაპორშჩიკის გვერდით, რომელიც წინათ სადღაც მსახურობდა სტროჟად. სცენაზე გამოსული იტალიელი აპირობდა ხმის ამოღებას, მაგრამ ჩემმა ადგილის გამოცვლამ და ახმაურებამ შეაჩერა იგი. მე შევატყვე, რომ ყველა უცდიდა ჩემს დაწყნარებას.

მომეტებულის სიჩქარით, უცაბედად მუხლზე დავაჯექი ჩემს მეზობელ პრაპორშჩიკს. „что за нахальство“, ჩაილაპარაკა მან. მე მინდოდა პასუხი გამეცა, მაგრამ უეცრად შევამჩნიე მის გულზე გიორგის ჯვარი. ხმა ჩამიწყდა. აპა, მე რას მარგებდა გმირის პასუხის გაცემა. „Винаватъ მეთქი, ჩავილაპარაკე ჩუმად და სმენად გადვიქეცი!

უეცრად სცენიდან გაისმა მქუხარე და მკვეთრი ხმა: პარიზი, ვერლენი, ბოდლერი, მარინეტი, და ანუნციო, მეტერლინგი, როსტანი, უაილდი. მე ვნახე ტყვია, რომელიც ესროლეს ჟორესს, მე ვნახე კიტჩენერი, რომელიც იჯდა შავ ცხენზე ვნახე პიკადელლი, სადაც დაიარებოდა უაილდი, ნორვეგიაში მე ვნახე მრავალი ქალი, რომელნიც ჰგავდენ კნუტ ჰამსუნის ვიქტორიას, მე ვნახე სტოკჰოლმში მეფის სასახლე და დავბრუნდი საქართველოში.—ო“

საოცრად ვღელავდი. ვღელავდი, რადგან მხოლოდ ახლა კი ვიცანი ეს ჰაბუკი, შავ თვალება და გულზე თეთრ ყვავილ დაბნეული. ეს ხომ ჩვენი „ოქროს ვერძია“, ჩვენი პავლუშა, რომელიც პარიზში იყო წასული, როგორც ოქროსი კი არა, როგორც უბრალო ვერძი. ეს ის პ. იაშვილი არ არის ბალმონტს რომ სთარგმნის და, რომლის საპასუხოდაც ბალმონტმა რუსულად „ვეფხვის ტყაოსნის“ თარგმნა დაიწყო?

მე ხშირად მესმოდა მისი ფუტურისტობა, მაგრამ არ მჯეროდა. და ახლა, როდესაც ვუცქერდი მის ხელების ქნევას და თვალების ტრიალს, მივხვდი, რომ ის აღარ გვეკუთნოდა ჩვენ. ვწყევლიდი იმ პარიზს, ლონდონს და ჩრდილოეთს, რომ-

ქალიშვილი ისე მოიხიბლა, რომ იქვე გადაწყვიტა:—ცოლად წავყოლოდა ამ მუსიკოსს, თუნდა სიცოცხლეთაც რომ დასჯდომოდა ასეთი გადაწყვეტილება.

რასაკვირველია, მეფეს არ იამა ასეთი ახირება თავისი ქალისა. მათ უდიდებულესობას სრულიადაც არ ესიამოვნებოდა, რომ დასიძება ვიღაც უთვისტომო, უსახლკარო და ოდესღაც გლახაკი ჰაბუკისა, რომელიც ქუჩა-ქუჩა აგროვებდა გროშებს, მაგრამ უცბათ მეფე იგი უკურნებელი სენით შეიქმნა ავათ. ექიმებმა ურჩიეს, რომ ერთად ერთი შენი წამალი მხოლოდ მუსიკაო.

ძალა უნებურათ მიიწვიეს მეარღნე.

ჯერ სამჯერაც არ გადაეტრიალებინა ხელი არღნისა, რომ მეფე განიკურნა. გრძნობამ მადლობის გადახდისამ დასძლია თავმოყვარეობა ხელმწიფისა და მეარღნემ ცოლად შეირთო მეფის ასული.

III.

იქნებ გგონიათ, რომ ამით დამთავრდა ბედნიერება გლახათ-ნამყოფისა?

არა, ბატონებო, თუ ასე იფიქრებთ, შეცდარი იქნებით!

ერთხელ მეფეს ომი მოუხდა მეორე მეფესთან. დარაზმულ ჯარის წინ გაჩნდა ჩვენი მეარღნე და ისეთი აღმაფრთოვანებელი, საამური ჰანგი დაუკრა, რომ დიადი გამარჯვება მხოლოდ მუსიკოსს მიაწერეს. მადლიერმა ხალხმა მეფეთ აღიარა მეარღნე და სიმამრი მისი კი მას დაუმორჩილა.

არც ერთი მეფობა არ ყოფილა ისეთი სახელოვანი და დიდებული, როგორიც შეიქმნა მეფობა ჩვენის მეარღნისა: ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას, საყვედურის თქმას, უკმაყოფილების გამოცხადებასა, თუნდა აჯანყებას. საკმარისი იყო, მეფე—მუსიკოსს გადაეტრიალებინა ხოლმე ხელი თავისის არღნისა და მაშინათვე მთელ სამეფოში მშვიდობა და სათნოება მყარდებოდა.

მაშინ კი ყველა მიხვდა, რომ მეფე-მუსიკოსისათვის საჭირო არ იყო გვირგვინი და სკიპტრა, სასახლეები და კარის-კაცები. იგი გაიღმერთეს, მის სახელობაზე აგებდენ დიდებულ ტაძარ-სამლოცველოებს, მარმარილოს და საფირონის საკურთხეველზე დღე მუდამ იკმეოდა სურნელებანი მეფის ქანდაკების წინაშე და მოჩუქურთმებულ-მოვარაყებულ კედლებზე მოსჩანდა სახება კერპად ქცეულ არღნისა...

მუსიკოსის ამ ბედნიერებას ის ნეტარებაც ერთოდა, რომ საღამოობით, იმ დროს, როცა მეფე მარტო რჩებოდა, მოატანინებდა ხოლმე თავის არღანს, უკრავდა და თან სიამოვნების ცრემლები ჩამოსდიოდა.

— ახლა კი მეყოფა ამ კოლოფში ჯდომა, გამაბრუა ამდენმა მარტოობამაო—გაიფიქრა ერთ უბედურ დღეს ჰინკამ და ჯერ სიტყვაც არ დაეთავებინა, რომ არღნის ჯუჯრუტანიდან გამოიხედა და რაკი დარწმუნდა, რომ ფუტკრები არსად იყვნენ, ფიცხლავ გამოძვრა არღნიდან, ხტუნაობით გაეშურა ტყისკენ და მცვრიან ყვავილ-ბალახებში გორაობა დაიწყო.

IV.

მთელი ქალაქი სიცილით იხოცებოდა, ხარხარებდა.

— ეს სადაური მუსიკაა... რა ჯანდაბური ხმებია!... ასეთი მუსიკა დათვებსაც კი დააფრთხობსო! ყვიროდენ მოქალაქენი.

გაბრაზებულმა ხალხმა გამოდევნა ძვირფასს ტაძრებიდან თავისი ღვთაება... კინწისკვრით გამოისტუმრეს იგი სასახლიდანაც.

— ასწი, დაგვეკარგე აქედან—მოსძახოდენ უბედურ მუსიკოსს. თვით მზარეულებმაც კი დაუშვეს ქვაბ ქაფქირებს ხელი და თავის მეფეს მოუღერეს.

მუსიკოსს ეგონა, იქნება იმ თავადის ქალებმა და მარკიზებმა მაინც მიმიღონ, რომლებიც ჩემ თავს ერთმანეთს ეცილებოდნენო,—მაგრამ აალრიალა თუ არა თავისი არღანი—დიდკაცის ცოლებმა ყურებზე ხელი დაიფარეს და დაიძახეს:

— სადაური მუსიკაა! გეგონებათ მთელი ქვეყნის კატებს ქორწილი ერთ დღეს გაუხალებიათო...

ლაქიები მისცვინდენ საცოდავ მუსიკოსს, შემოახიეს ფარჩის ტანისამოსი, ჯიბიდან ფულები ამოაცალეს და მერე რამდენჯერმე უპანღურეს.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მუსიკოსი გაექანა დაბა-სოფლებისაკენ, მაგრამ აქაც უარესი დღე დაადგა. იმის არღნის ხმაზე, ყველა გარბოდა, ხოლო სოფლის ბიჭ-ბუჭები კი ქვებს უშენდენ.

მაშინ კი მიხვდა უბედური მუსიკოსი, რომ ბოლო მოეღო მის დიდებას. ძველებურათ დაკონკილ დაბრანძული, პეჭყიანი და ყველასაგან მიტოვებული მკვნესარე გულით დაემხო შარა გზის პირად, მწარე ქვითინი ამოუშვა და ღმერთს სიკვდილს შესთხოვდა...

გიამბობთ რა ამ ზღაპარს, მე მაგონდებიან ის ნაზი და ტკბილი მგოსნები, რომელთა გულიც აღსავსე იყო სიყვარულითა; მე მაგონდებიან ის გენიოსი პოეტები, რომელთაც ერთ დროს ხალხი აღმერთებდა, მაგრამ დაჰკარგეს რა ნიჭი ოცნებისა, ნიჭი აღმაფრენისა,—ნუგეშმცემელი საყვედურიც კი ვეღარ უთქვამს მათ გამშრალ ბაგეთ და მათ გაბზარულსა და დაკოდილ გულს საგრძნობლად გუღირც კი დაუკვნესია, ვინაიდან მათ მიერ დაკარგულ სიყვარულს თან გაჰყვნენ საოცრებო ჰანგებიც!

ი.—ვანი.

ამონაკვნესი.

——

დღეს ომია... იბრძვის ყველა,
სისხლში სცურავს მეომარი,
მთელ მიდამოს გარს ედება
მოტივტივე სისხლის ღვარი...

——

ცა ღრუბლებით იჰედება,
ირგვლივ ისმის გლოვის ზარი;
შავი ძაძით იმოსება
ზღვა, ხმელეთი, მთა და ბარი.

——

სტირის დედა, სტირის მამა,
ილესება ცრემლში გული:
დიდს პატარას, ქვრივს და ობოლს
ემტევა წყლულზედ წყლული...

——

სტირის მდელო, გლოვობს ერი
თვის მეომარ—მებრძოლ შვილსა,
სტირის, სტირის ქმარის ცოლი
მოძმის მიერ თავმოჭრილსა.

——

ოხ! ცხოვრებავ ამ ჯოჯოხეთს
რატომ უმზერ ალმაცერად?!...
რატომ გინდა მტერს ემონო
და არ შეხვდე მამაცურად?...

——

ვაი იმ ერს, ვინც ამ ჟამად
ხსნას და იმედს ცრემლში ხედავს,
და უფლების ასაღებად
აქიდან ხმალს არ სჭედავს.

გ. მღებრიშვილი.

ლებმაც გამოსცვალა ეს ბავში და ასე გაუგებრათ გახადა ჩვენთვის და შთამომავლობისათვის!].

მოხსენება გათავდა. მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ ძლიერ მომშივნოდა, მივაშურე ახლად გახსნილ „გრანდ—კაფეს" და საჩქაროდ მოვითხოვე რაღაც საჭმელი. მივიხედ-მოვიხედე ამ კაფეში და ჩემი ოცნება ძალა უნებურად გადაფრინდა პარიზის იმ კაფეებში, სადაც პაოლო იაშვილი ესწრებოდა მგოსნების კრებებს, და სადაც მხატვრები ერთის ხაზმოსმით ხატავდენ მშვენიერ ქალებს, უეცრად გულის კოვზზე რაღაცა მემწვავა.

გამოვფხიზლდი.

შიმშილი თავისას მოითხოვდა და ჩემთვის კი ჯერაც არაფერი მოეტანათ- დიდხანს ვრეკე. ხმას არვინ მცემდა თანაც თეატრში მაგვიანდებოდა. აღარ ვიცოდი, თეატრში დაგვიანება სჯობდა თუ უჭმელობა. ვარჩიე ისევ პირველი. ამასობაში თეატრში პიესა უკვე ეთამაშათ და დაწყებული იყო მუსიკალურ-ლიტერატურული განყოფილება. „საქართველოს ყვავილები" სურნელებას აკმევდენ ხალხს.

შალვა დადიანი უმღეროდა თავის ორმოცი წლის ხნოვანობას, ვ. რუხაძე დასცურავდა მოკამკამე ტბაში, შოთა დადიანი გვაცინებდა და თვით იცინოდა, ა. ფალავა გვიხატავდა ესთეტიურ განცდას. კიდევ ერთხელ წამოდგა პაოლო.

„ბატონებო, სთქვა მან, მე თქვენ წაგიკითხავთ ელენა დარიანის, — ქართველი მგოსანი ქალის — ლექსებს, რომელნიც არავის არ მოსწონს მის მცირერიცხოვან მეგობრების გარდა, და დაიწყო:

„მე მსურს სიყვარულის სიგიჟე, მაგიჟებს სითბო, ვეღარ ვგუობ ფარჩის საბანს, მე ვკოცნი ჩემს თეთრ მკლავებს და სხეულს შენ რომ გსურდა, და სხვა და სხვა".

ცეცხლი მოეკიდა ჩემს არსებას. სრულებით უნებურად წავიღე ხელი და შევახე ჩემს გვერდში მჯდომ პრაპორშჩიკს. წუთიერ თავდავიწყებაში მე ის ქალით მომეჩვენა. პრაპორშჩიკმა საჩქაროდ ამოიღო ჯიბიდან პორტმანი, დასთვალა ფული და უხმოთ ჩაიდვა ისევ ჯიბეში. მე მივხვდი, რომ მას ჯიბგირი ვეგონე. მაგრამ ჩემი სხეული ისე იწვოდა ელენე დარიანის ლექსების მოსმენის შემდეგ, რომ მეზობლის შეურაცხყოფას აღარ მივაქციე ყურადღება, აღარ დავუცადე გალ. ტაბიძის ლექსებს და თითქმის სირბილით გამოვიქეცი სახლში. გზაზედ ვფიქრობდი: „ნუ თუ ჩემს ცოლსაც აგიჟებს სითბო და ვერ ჰგუობს შალის საბანს"!

ერმილე ზარიანი.

პროვინციის ცხოვრება.

ს. რიონი (ოკრიბა). ეს სოფელი ქუთაისიდან რვა ვერსის მანძილზე მდებარეობს. მიუხედავათ ამგვარი სიახლოვისა, სოფელი კულტურის მხრივ მეტად ჩამორჩენილია. გარდა ორკლასიან სამინისტრო სასწავლებლისა აქ არავითარი სხვა დაწესებულება არ არსებობს. სკოლაში სამოცამდე ყმაწვილი სწავლობს. ეს სასწავლებელი სამი წელიწადია, რაც გაიხსნა და კიდევ დაქირავებულ შენობაში მოთავსებული, მიუხედავათ იმისა, რომ შენობის საყიდელი ფული უკვე ექვსი თვეა რაც მოიკრიბა. საკუთარი შენობის უქონლობა კი მეტად საზარალოა ხალხისთვის, რადგან იგი ქირას ორას მანეთს იხდის წელიწადში, რაც დიდ ხარჯათ აწევს სოფელს ამ ომიანობის დროს, შეკრებილი ფული ჩაბარებული აქვს სოფლის მამასახლისს ვასილ მამრიკაშვილს და სკოლის მზრუნველს ერასტი მ—შვილს. რას უცდიან ნეტავ? რატომ არ იყიდიან შენობას, რომელიც უკვე ამორჩეულია. საკვირველია, ბ. მამასახლისის საქციელი!

ეს ვაჟბატონი, როგორც სურს, ისე იქცევა. ხალხის გაჭივრებას აგრე რიგათ არ დაგიდევს! მან ხალხის გული მოინადირა, მამასახლისად ამოარჩევია თავი და დანიშნულ გზას კი უღალატა. ისარგებლა ხალხის ნდობით და მასვე მძიმე ლოდათ დააწვა კისერზე. გლეხების დაჯარიმება, ლანძღვა-გინება, ჟანდარმივით წყევლა და წარმოიდგინეთ, შეფურთხებაც კი, მისი განუყრელი ფარხმალია: სულ მცირე რამეზე აჯარიმებს გლეხს და კვიტანციას კი არ იძლევა! ჯარიმიდან შემოსული ფული რომელიც ხალხსავე უნდა ხმარდებოდეს, სად მიდის, ღმერთის მეტმა, კაცმა არ იცის. ამავე ვაჟბატონის გამოსობით რიონელ გლეხს სასოებით წირვაც ვერ მოუსმენია. მაშინ, როცა მუხლმოყრილი გლეხები საყდარში ღმერთს ევედრებიან, შემიკაშვილი გადმოდგება კანცელარიის აივანზე და ყვირილით და სრულიად უსაბუთო მუქარა გინებით წირვალოცვის მოსმენას შეუძლებლათ ხდის. ამას ბ. მამა. ბლიდ. აფხაიძე კი არავითარ ყურადღებას არ აქცევს, რითაც დიდათ ხელს უწყობს მამასახლისის განზრახვებს. შემთხვევით, რომ რიონელ გლეხს შეხვდეთ, სალამის შემდეგ მამასახლისის უღმერთო საქციელზე დაგიწყებთ მუსაიფს, უფროსისთვის კი ვერ აუხსნიათ თავისი გაჭივრება, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ხმის ამოღებით ცეცხლს უფრო გაძლიერებენ. შეგნებული ადამიანი კი, რომელიც ხალხის გამოჭომაგებას შეიძლებდა, სოფ. რიონში სანთლით საძებნი შეიქნა. საჭიროა აწი მაინც მიიქციოს ყურადღება მამასახლისის თავგასულობამ მან, ვისთანაც ჯერ არს და ბოლო მოუღოს მის პარაზიტულ მოქმედებას.

ივანე მაღლაფერიძე.

სოფ. ერთაწმინდა (ქართლი). 20 ეკენისთვეს სრულებით შემთხვევით სოფ. ერთაწმინდაში ამოვყავ თავი. ეს სოფელი ასე 25 ვერსის სიშორეზე იქნება ქ. გორიდან და გაშენებულია, დაბა ახალ-ქალაქის თავზე მთის ძირში მაღალ ფერდობზე. ჰავა ტყისა, სუბუქი და მარგებელი, ცივი წყაროები და ბაღ-ვენახებით შემკული. 20 ეკენისთვეს ერთაწმინდელი გლეხები დღესასწაულობენ თავისი სოფლის ეკლესიის, ძველი ტაძრის, წმინდა ესტატის დღესასწაულს. ქართლში მიღებულ ჩვეულებისამებრ ეკლესიის დღესასწაულს, „დღეობა"-დ წოდებულს, დიდის ამბით შეხვდებიან ხოლმე. იმართება ვაჭრობა, საქონლის გაცვლა-გამოცვლა, ქეიფი, დროს ტარება, საქორწინო ქალ-ვაჟის გასინჯვა, ცეკვა, არღნის ჰყვიტინი, ზურნის და დოლის ბრახა-ბრუხი და სხვა ათასი. მაგრამ როცა მაღლიანი ჩვენი გლეხის გული დახურულია მოუსავლობით მაშინ დღეობასაც აღარასა ჰგავს. მოგეხსენებათ წრევანდელი მოუსავლიანი წელიწადი. მრისხანე, შეუპოვარმა ბუნებამ, თუ გერმანელების საწამლავმა, როგორც ესა სჯერათ ქართლელ გლეხებს, მთლად ხელ-ცარიელი დასვა მოსავლიდან საწყალი ხვნელ-მთესველი გლეხი და გული ჩაუხუთა. რაღა ეღდღეობება ბედისგან ჩაგრულს და, აი ამიტომაც გაზეთებში წინდაწინ ატყობინებენ ნათესავ-მეგობრებს —„დღეობა არ იქნება, ნუ გვეწვევით"...

ამის გამო ხალხი ძალიან ცოტა მოსულიყო, ისიც ისეთები, რომელთაც შეთქმული ჰქონდათ ღამის თევა. ერთაწმინდის ეკლესიის ხატი წმ. ესტატესი განთქმულია, როგორც სულით ავადმყოფების მკურნალი. დასავლეთით პატარა ოთახია მიდგმული ეკლესიაზე. აქ შარშანდლამდე ჯაჭვი იყო, რომელსაც სულით ავად-მყოფნი ყელზედ იბამდენ, ვითომ მოგვარჩენსო. ეს ჯაჭვი კიევის უნივერსიტეტის სტუდენტმა ვ. კარგარეთელმა (ამ სოფლის მცხოვრებია) ქართულ მუზეუმში ჩაიტანა შარშან...

როგორც მოგეხსენებათ ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო, იყვნენ შორიდან მოსული ბერძნის ქალები. თურმე ახალ-ციხელ ბერძნებს ძალიანა სწამთ, ეს ეკლესია და ყოველ წლივ ათასობით მოდიან ღამის სათევად. მაინც ეშხი არ გაიტეხეს მლოცველებმა, ცოტა იცეკვეს კიდეც, არღანმაც იჭყვიტინა, ზურნამაც იზუზუნა, ვაჟებმაც ვა, რა მოსულა, "არ გავყიდი", „აი ჩემი", „ქქეთ-ქეთ"-ი და ასეთი ჭრელ-ჭრელი ეპიტეტები იყვირეს, მაგრამ შუადღის უკან ყველა წავიდ-წამოვიდა და გულ დაწყვეტილი სომეხი ჩარჩები ერთმანეთს შესჩივიან: „ვა, კარაპეტ, გზის ხარჯი მაინც ამეღო, ეს რა მადლია... ეხ, ფას ჩვენი საქმე"..

კარაპეტებმა რაც უნდა იძახონ, მე კი ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი გავიგე. სოფლის სკოლის მასწავლებელმა ივანე ქამუტაშვილმა გასაოცარი, მაგრამ სულის, დამატკბობელი რამ მაცნობა. თურმე ნუ იტყვი ამ მთაში წიგნ-საცავი ყოფილა, რომლის მკითხველთა რიცხვიც ბევრითა სჭარბობს თუ გინდ ქ. გორის სამკითხველოს სტუმრებს, მერე არ იკითხავთ ვინ არიან ერთაწმინდის სამკითხველოს მუდმივი სტუმრები?... იქნებ თვით ერთაწმინდის გლეხები? შენ არ მოგიკვდე. ჩვენს გლეხს ქუდი რომ შეუგდო სამკითხველოში შიგ არ შევიდეს, კანცელარია ჰქონია საწყალს და ნურც გაამტყუნებთ. მკითხველები აღმოჩნდენ მთიულები.

ს. ერთაწმინდის საზოგადოებაში, სამამასახლისო შედის ათიოდე პატარა სოფლები რომლებიც მთიულებით არის დასახლებული მთაში. სოფლების მცხოვრებნი 5—25 მდე, კომლს არ აღემატება და 5—10 ვერსით არიან ერთმანეთზე დაშორებულნი. აი, სახელიც ამ სოფლების: გარგარი, გოსტიბე, სამოჰალო, იკვი, რკონი, ჩაჩუბეთი, სალომე, მერია, კლდეკაპრები, გოგოთი, ზნადრისი...

„შენი კვნესამეო, „ლალატის" წიგნი მომეცით, შემეხვეწა ერთი მთიულიო, მითხრა ქამუტაშვილმა. მე ვკითხე, საიდან იცის, რომ ასეთი წიგნი არის მეთქი და მიპასუხა: „როგორ არ ვიცი, შენი კვნესამე, რუქაია, ზეინაბი, ერეკლე, ოთარ-ბეგი, ისახარი და "ზახიო" ბარემ ათჯერა მაქვს წაკითხული და მინდა ცოლ-შვილსაც წავუკითხოო"... საკვირველი ის არისო, დაუმატა ბ. ქამუტაშვილმა, რომ მთიულები თვითონვე სწავლობენ წერა-კითხვას უსკოლოოდ და ისიც ხეებზე, ჩამოსთლიან ხის ძირს და ნახშირით სწერენ და ერთმანეთს ასწავლიანო, მთიულები 90°/o წერა-კითხვის მცოდნეა, და ისიც ასეთის წვალებით, ხეზე, ან ტყავზე წერითო... მართლაც, გასაოცარია, მკითხველო! ეს ხდება მეოცე საუკუნეში თითქო მეათე საუკუნე იყოს... სკოლა ვერა ხერხდება, სოფლების სიშორისა გამო. ბატონ ქამუტაშვილს განუზრახავს საკვირაო სკოლის გახსნა სოფ. ერთაწმინდაში მთიულებისათვის. ვუსურვოთ ამ მხნე ახალგაზრდა მასწავლებელს, რომელიც მთიულთა მრავალ სიმდიდრის ბუნების ნექტარი უგემნია, ხიარებულა მამა-პაპათა სამშობლოს სალოცავზე, ნანთხევ სისხლით, მეტი სიმხნევე და გამარჯვება.

ურბნელი ვასო.

პასუხად ნ. ჯიხაიშელს.

„თანამედროვე აზრის" 165 ე ნუმერში მოთავსებულია კორესპონდენცია დიდი-ჯიხაიშიდან ნ. ჯიხაიშელისა, რომელშიაც ავტორი თავისებურათ არკვევს დიდი-ჯიხაიშის ქსენონ-აფთიაქის მდგომარეობას; ვითომდა სწუხს მის უბედურ ბედზე და ყოველივე ბრალს ხალხისაგან არჩეულ კომიტეტის წევრებს გვახვევს თავზე.

ნ. ჯიხაიშელს სერიოზული მსჯელობის უნარი რომ არა აქვს და მიუდგომლათ საქმეს რომ ვერ გასჯის, ეს ჩვენ კარგა ხანია ვიცით, მაგრამ თუ ისე დაწვრილმანდებოდა, რომ პირადი ინტერესებით გატაცებულ ინტრიგანების ნაკარნახევს გაზეთის ფურცლებზე გამოამზეურებდა ეს კი არ გვეგონა.

საქმის სინამდვილე შემდეგშია:

1914 წელს სექტემბრის პირველ რიცხვებში თანახმათ მისი თხოვნისა ექიმათ იქნა მოწვეული ბ. თ. მესხი. დავდევით ურთიერთ შორის პირობები და ორივე მხარემ ხელი მოვაწერეთ. ამ პირობების ძალით ექიმს ეძლეოდა სამი ოთახი, სამზარეულოთი, იმან კი ერთი კვირის შემდეგ პირობა დაგვირღვია და მეოთხე ოთახიც მოგვთხოვა და თუ არ მომცემთ მივდივარო, დაგვემუქრა! ჩვენც დროთა წყალობით იძულებული გავხდით უადგილო მოთხოვნილება ექ.მისა დაგვეკმაყოფილებია და ამისთვის საგრძნობელი ხარჯებიც გავსწიეთ. ამავე პირობის ძალით, ექიმს ეძლეოდა წელიწადში ერთი თვის თავისუფლება, ჯამაგირის შენახვით და კვირაში კი ერთი დღე. თუ ვინიცობაა ექიმი იმ ერთ დღეს დარჩება ჯიხაიში, ის ვალდებულია ინახულოს მწოლიარე ავათმყოფები, გასამჯელო კი ქსენონ-აფთიაქის კუთვნილებას შეადგენს (მუხლი 3.). პირველათ ექიმი ბ. მესხი მტკიცეთ იცავდა ამ დადგენილებას, ბოლოს კი გვეუბნება, —ერთი დღე კვირაში ჩემთვის ფუჭია, ეს დღე თქვენთვის დამითმია, მხოლოდ ნება მქონდეს საჭიროების დროს ორი სამი დღე წავიდე ნაცნობ—ნათესავებშიო; ამაზედაც კომიტეტის წევრები თანახმა გავუხდით. გადის დრო და ექიმი ხელახლათ გვიწვევს და გვიცხადებს კვირაში ერთი დღე ჩემი უნდა იქნეს შემოსავლითო და, თუ ამას არ დამიკმაყოფილებთ, სამსახურს თავს ვანებებო. ჩვენც იძულებული შევიქენით კიდევ დაგვეთმო.

ამგვარათ ექიმმა გააქარწყლა პირობა და ქსენონის კასას წაართვა წლიურათ 300—400 მანეთამდი.

ბ. კორესპონდენტი გვისაყვედურებს—ექიმს ოთახები არ გაუკეთეთ, თუმცა შპალიერი კი ნაყიდი იყოვო. ერთი წელიწადია, რაც ექიმი მესხი ჩვენში მოვიდა და ოთახებიც საკმაოთ შეკეთებული იყო, მაგრამ, მისი დაჟინებით, კომიტეტმა კიდევ ოთახების რემონტზე საკმაო თანხა დახარჯა. შპალიერი კი ყველა ოთახისათვის კომიტეტს არ უყიდია და არც იცის, თუ რა შპალიერზე ლაპარაკობს კორესპონდენტი?! რაც ჩვენ გვემში შედიოდა და რაც საჭირო იყო, ის კიდეც გავაკეთეთ და რამდენი შპალიერი კედლებზე გაუფრთხილებლობით ჩამოიხევა ან და ცხოველებისაგან დაისვრება იმის შეკეთებას კომიტეტი ვერ იკისრებს და უიმისოთაც გაძვალტყავებული ხალხის ფულებს ამგვარათ წვრილმანებში ვერ დაბანდავს, მით უმეტეს, რომ შემოსავალი ძალზე შემცირებულია: რვა თვის ანგარიში შედარებით შარშანდელთან გვიჩვენებს, რომ წელს შემოსავალს **1372** მან. და **81** კაპ. დაუკლია.

საჭიროა ამ დაწესებულების მოვლა-პატრონობა და, თუ თქვენისთანა ძალით მაცხონე აგენტებმა ხელი არ შეგვიშალეს, საქმე სასურველათ გამოესწორება. ნურას უკაცრავათ, თუ ჩვენ ექიმს ყოველ კვირაში პირობები არ ვაცვლევინეთ და მის კაპრიზებს არ ავყევით. მართალია, ახლა გამოცდილი ექიმი ძნელი საშოვარია, მაგრამ დაიმშვიდეთ გული, მაინც ვიშოვით და ხალხს უექიმოთ არ დავტოვებთ.

ბ. ჯიხაიშელო, თქვენ გვისაყვედურებთ, ხალხს ანგარიშს არ აძლევთ, სარევიზიო კომისიის წევრების კანონიერ მოთხოვნას ანგარიშს არ უწევთ და სხდომებს გაურბიხართო. თქვენ რომ ჭეშმარიტების გამორკვევა გაინტერესებდესთ და პირადი ინტერესებით არ იყოთ შეპყრობილი გაიგებდით, რომ კომიტეტმა ქსენონ-აფთიაქის ანგარიში სწორეთ თავის დროზე წარუდგინა საზოგადოებას განსახილველათ. ყრილობამ ის ანგარიში არ განიხილა. რატომ? აღმოჩნდა, რომ ანგარიშები რვა თვის განმავლობაში სარევიზიო კომისიას წევრებს ერთხელაც არ გაუსინჯავთ და ამ ხნის განმავლობაში არც კი შეკრებილან, რომ ქსენონ-აფთიაქის ბედი და მდგომარეობა გაეგოთ. ბ. ჯიხაიშელო ვინ იგდებს მასხრათ კულტურულ დაწესებულებას, ჩვენ თუ სხვა ვინმე?!.. ვინ არის საძებარი და ვინ ვის არ ეკარება თვითონ თქვენ გამოიცანით.

ბებია ქალზე გვისაყვედურებთ, ვითომ ჩვენ წინაამდეგი ვყოფ. ბებია (აკუშერკა) ჩვენ არ გვყავს და რაც არ არის ის მსჯელობის საგნათაც ვერ გახდებოდა. გამოცდილი და პატიოსანი ბებია რომ კარგია, ამაში ვეთანხმებით.

ხალხი დღეს მიმხვდარია, რომ მის საყვარელ დაწესებულებას ძირს უთხრის არა კომიტეტი, არამედ ის პირები, რომელთა ხელობა ბანქო — ბაქარა-ფრაპია, და რომლებიც უმეტეს დროს არშიყობა ქეიფში და უსაქმოთ ხეტიალში ატარებენ. აი ეს პირები მოსვენებას არ აძლევენ ექიმს და ფარმაცევტებსაც მუშაობას უშლიან. გაიხსენეთ მოსამსახურე ფირცხალავას და ერთ მანდილოსანს შორის მომხდარი ინციდენტი, ოცი ივლისის ღამე, გადიკითხეთ „ახალი მათრახის" წარსული ნუმერი და სხ. და სხ. ნურას უკაცრავათ, ბ. ჯიხაიშელო, თუ ამგვარ უწესოებას კომიტეტი წინაღუდგება და ხალხის ოფლითა და სისხლით აშენებულ დაწესებულებას საჯიროთო და სახუნტრუცო მოედნათ არ გახდის. რაც შეეხება ექიმის დაფასებას, — ეს ჯიხაიშელებს კარგათ ესმისთ, რასაც პატივსცემული ივ. გომართელი დაგვიმოწმებს. და თუ ზოგიერთებს გული სტკივათ, — ეს მათი, და საპატიო მიზეზების ბრალია.

დიდი-ჯიხაიშის საზოგადოების
ქსენონ-აფთიაქის **კომიტეტის წევრნი.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

მასწავლებელი ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელ და ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: ბათრინის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, საღ. 5—6 საათამდის. 12—2

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების

სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, და ბრუნდება საღამოობით. თ.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი.

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50°/o-დან 75°/o-დე დაკლებულია.

პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

თვ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი

ქართული და რუსული სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.